„აკვანი“

№2 (10) იანვარი, 1996წ. თავისუფალი გაზეთი. ფასი 10 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო ასათიანი 79 წლისაა

„უფროსი თაობის მკითხველი კარგად იცნობს პოეტის შემოქმედებას. ლადო ასათიანი შვილია თავისი ქვეყნის—ხისლი ხისლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი თავისი ქართველი ხალხის. პოეტის შთაგონებას ასაზრდოებს ერთის მხრივ საშობლო ქვეყნის ბუნება და ხოვლური ყოფა-ცხოვრების ინტიმი, მეორე მხრივ მშობელი ხალხის ერიოვნული ხელისგვეთება და გმირული წარსული.“

„ეროვნული ხალხიობა“, განსწირულების ქედუხრელი ყოველი, ამაკი ისტორია ქართული ხელის ძლიერებისა, რომლის აშხანაგობას აკაკის „განთიადიც“ არ ოუკადრისებდა“.

„ეურება რა მეოცე საუკუნე და თვალს ვავლებთ რა საუკუნის პოეტურ ყაბახსა და სარბიელს, ლადო ასათიანი თავაწეული დგას მათ შორის, ვისი პოეზიაც მომავალში მეტად და მეტად დასჭირდება ქართველ ხალხს იმისდა მიხედვით, თუ როგორ ივლის წინ საქართველო, იმისდაკვალობაზე, თუ როგორ აყვავდება ჩვენი ეროვნული კულტურა, როგორ ფრთას ვაშლის ჩვენი ეროვნული შეგნება“.

„ლადო ასათიანის ლექსის სტრიქონს თითქოს ალმური ასდის. ეს სამხრეთის მცხუნვარე მზის ნიშანია, უფრო მეტად კი იმ გაუნელებელი ცეცხლისა, რომელიც დღედადამ ერდნდა პოეტის სულსა და სხეულს. ეს ის შუქია და ის სითბი, რომელიც პოეზიაში ვერავითარი ოსტატობით ვერ მიიბოვება, თუ სიტყვამ შთაგონების ლადარში არ ვიარა“.

„ლადო ასათიანი ბრძოლის ველზე არ დაცემულა, მაგრამ, როგორც პოეტი, ის მაინც წინასწარმა მეომრულ უკვდავებას ეზიარა, რადგან თავისი ლექსით, თავისი დაუდალავი სიმღერით ზედ დაკვდა ქართულ მიწას, მის სიყვარულში, მასზე ფიქრით დაფერფლა და ეს ჭეშმარიტი ორიოლვა ჩვენც გადმოგვდო:

რა ქართველი ხარ და რა ჯაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე?
ქ[illegible]ა[illegible]ვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც [illegible]ართველი ვარ და ეს მაწვალებს!

არ ბერდება უბრალო ადამიანური ვრძნობა, რომელიც გულს მოწყდა და ლექსად დადვარა“.

ჟურნალისტ ნ. კოპლიანის პუბლიკაცია ლადოს ცხოვრების ზოგიერთი მომენტის შესახებ შესაძე ვერდზე ქვეყნდება.

მიზანმიმართული მსჯელობის კურსი

ამ დღეებში რაიონული საკრებულოს გამგეობის სხდომათა დარბაზში გაიმართა აქტივის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ გამგეობის წევრები, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, საშუალო სკოლების დირექტორები, მომსახურების, ფინანსებისა და საგადასახადო ინსპექციის მუშაკები.

აქტივის კრება გახსნა რაიონის გამგებელმა ბატონმა **კარლო კვირიკაშვილმა** და მანვე გამგეობის სახელით აქტივის კრების განსახილველად შეიტანა საკითხი რაიონის ეკონომიკის განკითარებისათვის გაწეული მუშაობისა და ამოცანების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ ეკონომიკის, სოციალური სფეროსა და წესრიგის თაობაზე თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისობიდან.

მოხსენებით გამოვიდა გამგებლის პირველი მოადგილე ბატონი **მელსი ყურაშვილი**.

განხილული საკითხის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: **შერაგი ყვირილიანმა**—გამგეობის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, **ბადრი არეშიძემ**—პოლიციის რაიონული განყოფილების უფროსი, **ნაირა ბერაძემ**—საფინანსო განყოფილების გამგე, **კახა კოპალიანმა**—საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე, **ზაური ახვლედიანმა**—ენერგოგასაღების უბნის უფროსი, **ჯემალ ჩიკვაიძემ**—საკრებულოს ეკონომიკურის გენერალური დირექტორი, **მურმან თოთაძემ**—ჯანმრთელობის დაცვის რაიონული ფონდის დირექტორი, **ია ხმელიძემ**—გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციის მდივანი, **ავთანდილ მაღრაძემ**—რაიონის პროკურორი, **ლეილა გურგუჩიანმა**—მოსამართლე, **ლემინო ლიპარტელიანმა**—ველეხურ-ფერმერული მეურნე.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა რაიონის გამგებელი ბატონი კარლო კვირკაშვილი.

მოხსენება და კამათი სამი ძირითადი მიმართულებით წარიმართა:

რაიონული აქტივის კრება

1. ეკონომიკური რეფორმების საფუძველზე წარმოების ზრდა, ჯერ კიდევ არსებული სამშენებლო და სახელმწიფო ორგანიზაციების მართვის სრულყოფა, სახელმწიფო ქონების და მისი პრივატიზაციის საქმეში არსებული ხარვეზების ლიკვიდაცია და წარმოებული პროდუქციის გასალებისათვის ბაზრის ძიება, ეკონომიკური კავშირების განვითარება და მხარის ტერიტორიაზე წარმოების ერთიან პროცესში აქტიური ჩაბმა, ბიუჯეტის წარმოქმნის გზების სრულყოფა, არსებული რეზერვების ამოქმედება და ა. შ

2. სოციალური სფეროს პრობლემათა ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა, რომლის ცენტრში დგას ადამიანი—თავისი ყოფით, ცხოვრებით, მოთხოვნილებებით; ახალგაზრდობის დასაქმების გზების ძიება, მოზარდის აღზრდა და მისი განათლების რეფორმისტული სრულყოფა, ფასიანი მკურნალობა და ფასიანი სწავლება დღეს და მომავალში; პენსიონერებისა და სხვა დაუცველი მოსახლეობის მომსახურების არსებითი გაუმჯობესება; ეკონომიკა და საყოფაცხოვრებო მომსახურებისადმი ახლებური მიდგომა, საერთოდ მომსახურების კულტურის ამაღლება; ერთი სიტყვით—ადამიანი ყურადღების ცენტრში.

3. კრიმინოგენური სიტუაციის მოწესრიგება ისე, რომ შეიქმნას მტკიცე საფუძველი წარმოების განვითარებისა, მშვიდად ცხოვრებისა, ადამიანის ყველა უფლებათა დაცვისა. ლეჩხუმში, როგორც წინათ, სახლი არ უნდა იკეტებოდეს, კიბეზე ბალახი არ უნდა ამოდიოდეს, ყველა სტუმარი და ინვესტორი სიამოვნებით აბანდებდეს საკუთარ სახსრებს.

აქტივის კრების შედეგები შეაჯამა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა ბატონმა **თედო ისაკაძემ**.

აქტივის კრებამ მიიღო რეკომენდაციები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, რწმუნებულის პირველი მოადგილე ეკონომიკის დარგში **ვახტანგ ზურაბაშვილი** და კონტროლის პალატის რეგიონალური კომიტეტის თავმჯდომარე **დავით დარახველიძე**.

აქტივის კრების დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება.

ღია წერილი ბატონ ვახუშტი კოტეტიშვილს

ბატონო ვახუშტი! დიდხანს ვიფიქრე, მომეწერა თუ არა ეს წერილი თქვენთვის, უაღრესად კოლორიტული მეცნიერისათვის, მაღალზნეობრივი მოქალაქისა და საკმაოდ ცნობილი მწიგნობარისათვის, რადგან ვერ დავრწმუნდი, უნებლიე შეცდომა იყო, თუ განზრახი დაუდევრობა, ხელოვნურად არ მოგელოცათ ლეჩხუმლებისათვის ახალი წელი, ჩამოგეჭრათ იგი მთლიანი საქართველოსათვის და ერთრაიონიანი ეთნოგრაფიული კუთხის მოსახლეობისათვის გული გეტკინათ. მე შორს დავდექი იმ აზრისაგან, რომ ეს განზრახ შეცდომა იყო, მაგრამ საერთოდ რომ ცოტა უგულისყურობა იყო, ეს ფაქტია.

წინასაახალწლო გადაცემას, რომელიც თქვენ წინანდლიდან მიგყავდათ, ალბათ, რეჟისორიც ჰყავდა და სცენარის ავტორიც, მაგრამ საქართველო რომ ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელოა, რომ შორით რაჭა-ლეჩხუმია და ახლოს მეს ხეთ-ჯავახეთი—არ გამოვიდა. არა და ლეჩხუმს საკუთარი კუთხური სიმღერებიც გააჩნია და ლადოც ჰყავს, ასათიანი, აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანიც და მარშალი არჩილ გელოვანიც; როგორ შეიძლება, ქართული ფოლკლორის ძალზე გახმაურებულ მკვლევარს, ბატონ მიხეილ ჩიქოვანს სამშობლო დაუვიწყო, ანდა პოეტ ჯანსულ ჩარკვიანს მისი მშობლიური კუთხე არ დაალოცვინო; არა, მარტო არა, მაგრამ მთელ საქართველოსთან ერთად კი.

გვესმის, ბატონო ვახუშტი, თქვენი უდიდესი სიყვარული საქართველოს მთისადმი—განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთისადმი, მაგრამ საქართველოს მთიანეთი რაჭაცაა, ზვიადი სვანეთიც, თქვენგან „დაჩაგრული“ ლეჩხუმიც და კიდევ ბევრი სხვაც. მტკიცება არ უნდა განსაკუთრებით თქვენთვის იმას, რომ დესპინე გელოვანი (ბანოვანი), ლადო ასათიანი, სევერიან ისიანი, ჯანსულ ჩარკვიანი ხალხურ ფოლკლორზე არიან ამოზრდილი,—ეს მხოლოდ გახსენებისათვის, ჭკუა კი ჩემგან არ გესწავლებათ, მე მხოლოდ გახსენებთ იმას, რასაც თქვენთვის ლეჩხუმი უნდა მოეგონებინა და ისედაც თავისი დღევანდელი ყოფით განაწამებ ლეჩხუმელებს საახალწლო გული არ სტკენოდათ.

ბატონო ვახუშტი! წინათ რომ იტყოდი, ლეჩხუმელი ვარო, კითხვას შეგიბრუნებდნენ-სვანეთიდანო?! არა, ლეჩხუმიდან—შეახსენებდი; რომელი—რაჭიდან?! ასეთი დიალოგის ადგილი უკვე დიდი ხანია გაქრა. 1980—1986 წლებში ცაგერში ეწყობოდა ფოლკლორული სიმღერების რესპუბლიკური ფესტივალი, რომელშიაც 30—35 რაიონის ფოლკლორული ანსამბლი იღებდა მონაწილეობას. ჩემთვის დღესაც გაუგებარია, რატომ თქვენამდე არ მოადწია ამ ფაქტმა; იქნებ, ჩვენ არ ვართ მართალი, ან უბრალო გაუგებრობის ბრალია და მეტი არაფერი.

რაიონს აკადემიური ანსამბლიც ჰყავს და ბავშვთა კაპელაც, რამდენიმე ფოლკლორული ანსამბლიც და, სხვათაშორის, კარგი ხალხური მთქმელებიც. ახლა მიმდინარეობს მზადება ჩვენი დიდი დღესასწაულის — ლადობისათვის“. მოდით, გვესტუმრეთ, ბატონო ვახუშტი, ამ დღესასწაულზე, ალექსი ჭინჭარაულიც დაიმგზავრეთ, იქნებ, აქ დაგულოცოთ იუბილე. ლეჩხუმში იქნებ იპოვოთ ისეთი რამ, რაც გაგაოცებთ და გაგახარებთ; წყენა უკვე გავლილია, მაგრამ თქვენი ხელი და უაღრესად მაღალი ბუნება ლეჩხუმლების შერიგებული დალოცვით კიდევ უფრო დამშვენდება და აშაღლდება.

მაპატიეთ, ბატონო ვახუშტი, რომ თქვენთან შეპასუხება გავბედე, მაგრამ რა ვქნა, რაც მწამს, ის უნდა ვთქვა. ვიცი, მიპასუხებთ, მაგრამ აწინდელ პასუხს ჩემგან მხოლოდ ერთს ელოდეთ—მოპატიჟებას „ლადობაზე“.

პატივისცემით—აკაკი ჩიქოვანი,
„თაკვერის“ რედაქტორი.

„დემოგრაფიული პულსი“ მკაცრ კონტროლგე

•••

ლეჩხუმს ოცდაათი მოქალაქე შეემატა

დათო გოჩას ძე გოლეთიანი
ეკა რომანის ასული უგრეხელიძე
მარი დიმიტრის ასული ლომთაძე
ეკატერინე დიმიტრის ასული ლომთაძე
ბაჩანა ამირანის ძე კეირკაშვილი
ნინო სულიკოს ასული ხვადაგიანი
მარიამ დავითის ასული მუშკუდიანი
თათია თამაზის ასული ჯანაძე
ლაშა რატის ძე ლიპარტელიანი
გვანცა რატის ასული ლიპარტელიანი
გვანცა ჯონის ასული გურგუჩიანი
ბექა გულბაათის ძე ახვლედიანი
რატი მირზას ძე ქარსელაძე
ნანა პლატონის ასული შუბულიანი
ნინო გოგის ასული სვანიძე
ნატა ედუარდის ასული გუგავა
ბექა ზვიადის ძე თუთისანი
თამარ გრიგოლის ასული სალინაძე
სალომე ვალერის ასული ხვადაგიანი
ფარნაოზ თენგოს ძე ჭაბუკიანი
თეონა მურთაზის ასული მახარობლიძე
გრიგოლ ამირანის ძე ვაჩაძე
სოფიო ნიკოლოზის ასული ბენდელიანი
ბესიკ თამაზის ძე ქომეთიანი
ირაკლი გიას ძე ფრუიძე
ლიკა გოჩას ასული ხმელიძე
თამარ ზაქროს ასული მეგრელი
თორნიკე მირიანის ძე ფრუიძე
ჯაბა გურამის ძე ლიპარტელიანი
ნინო გელას ასული ხალიანი

დღეგრძელობას და ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ პაწია ლეჩხუმელებს.

❖❖❖

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სიყვარულო ძალსა შენსა“

ჭეშმარიტი სიყვარული ყველა დროსა და საზოგადოებაში რჩება იმ უმტკიცეს ბურჯად, რომელზედაც დაფრდნობილი ოჯახი მყარია და საიმედო, ამგვარ სიყვარულს, უფლისაგან შირონცხებულს, ვერ ქამთა სვლა უხუნებს ფერებს და ვერც მიწიერი ცდუნებანი.

მოციქული პავლე ეფესელთა მიმართ წერილში წერდა: „ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს, ვინაიდან ქმარი არის ცოლის თავი ისევე, როგორც ქრისტე არის ეკლესიის თავი და ის არის სხეულის მაცხოვარი.

მამაკაცებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები ისევე, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და თავი გასწირა მისთვის... ვისაც თავისი ცოლი უყვარს, მას საკუთარი თავი უყვარს... ამიტომ მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და მიეწებება თავის ცოლს, და ორივენი ერთხორცად იქნებიან.

დიდია ეს საიდუმლო, მე ვამბობ ქრისტესა და ეკლესიაზე“.

ოჯახი ღვთის შირონცხებული საიდუმლოა და, რაც უფრო დიდი სიყვარული და ერთგულება უდევს საფუძვლად, მით დიდია უფლის წყალობა.

„ქალი სითბოს უნდა აფრქვევდეს“

სახლი, სადაც სიყვარულის ნაყოფნი სიყვარულშივე იზრდებიან, სარწმუნოებისა და სახელმწიფოსათვის მყარი საყრდენია. ახალგაზრდობის შეორგულებამ უფლისადმი, კლდემამოსილებისა და კრძალულებისაგან განდგომამ ამრავლა ნოჯახართა რიცხვი, ცნება „სიყვარულმა“ ახალი დატვირთვა მიიღო. სადღაა ის ყოვლისმტანობა, ჭირთათმენა და ტკივილგამძლეობა. ალბათ, ღირს ამგვარ მდგომარეობაში მყოფთათვის წინა თაობების ფუძეძლიერ, ფერთუხუნარ ოჯახებზე თვალის მიპყრობა, მაგალითის მიღება

სწორედ ამგვარი ოჯახის დისახლისი, ფრიად განათლებული ქალი გახლავთ. ჩემი რესპონდენტი. მოხვდა, მისი სახელი ანონიმად დამეტოვებინა. ეკრძალებოდა თავისი პირადის, საკუთარის საშეოზე გამოტანა, მაგრამ მომიტევოს, თუ „ციათავზედე“ და ვერ შევსრულე თხოვნა.

ქალი—მიმზიდველი, ჭერა, ფართოთვალება, სიკეთის მარილმოყრილი სახით. საყვარელი ფერი—იასამნისფერი.

საყვარელი საქმიანობა—უპირველესად, პროფესიულ-პედაგოგობა. ოჯახში—საზეიმო სუფრების გაშლა, უცხო კერძებისა და ნამცხვრების შეთხზვა.

ხასიათის ძირითადი თვისება—სიამოვნება მიანიჭოს გარშემომყოფებს. ძალიან უყვარს ოცნება, ბუნება და მოხიბლულია ველური ბუნების პირველყოფილი სილამაზით.

მეუღლე—სერიოზული, სიტყვაძუნწი, ერთი შეხედვით ჯმუხი, მაგრამ საოცრად კეთილი მამაკაცი, ისიც პედაგოგი.

უყვარს თავისუფალ დროს ტელეგადაცემების ყურება და ბუნებაში გასეირნება მეუღლესთან ერთად.

ხასიათის ძირითადი თვისება—კაცთმოყვარეობა, სიკეთე.

პირველი შეხვედრა იყო ოცდაშვიდი წლის წინ. სტუდენტები იყვნენ. „ჩვენი დროის უკურნებელი სენის“ ნიშნები, „სიყვარულით დაავადების“ დროს გამქელავნებული თავგზაბნეცა, ტელეფონომანია, ჭორები, ყავაზე მკითხობა—მსგავსი არაფერი ყოფილა. იგი დიდი, მშვიდი და უფალტო სიყვარული. ალბათ, მათაც ჰქონდათ საყვარელი სკამი ბაღში, საყვარელი დღეები. ყოფილ კიროვის ქუჩაზე მოშრიალე ჭადრებს, ალბათ, ღიღნანს ახსოვდათ ნელი ნაბიჯით მოსეირნე ლამაზი წყვილი. მათი საერთო სამეგობროს, „შესანიშნავი შვიდეულის“ წევრებს დღემდე ლამაზ მოგონებად შემოუნახავთ მათი სიყვარული.

ჭორწილი—მხიარული და ბედნიერი. თეთრკაბიანი, თეთრგვირგვინოსანი დედოფლის სინორჩე და სილამაზე საჭორწინო სეფაში მოფანტული იების შუქსაც ჩრდილავდა. (ღარასოდეს მინახავს თებერვალში იმდენი ია, მაშინ რომ იყო,—იგონებს ქალი).

გრძელი, მაგრამ ბედნიერი გზა ჭიათურიდან ლეჩხუმამდე...

სტუდენტური მაყრიონი, მაშხალები, ლეჩხუმური „მრავალჟამიერი“. ხანჯლების ქვეშ გაატარეს ნეფე-დედოფალი, დალოცეს.

სამდღიანი ჭორწილი. ოჯახი—ბედნიერი, რომ ხუთ შვილში ერთადერთმა ვაჟმა საამაყო რძალი მოჰგვარა.

ისევ სტუდენტური ცხოვრება. ხშირად გასჭირვებიათ. ბედნიერი წუთები უფრო მეტი იყო. წლის თავზე პირველი ვაჟი შეეძინათ (ყველაზე ლამაზი მოგონებებიც მას უკავშირდება), მერე მეორე ვაჟი, მესამეც.

დრომ ჩაიქროლა ნაბდის ჩექმებით. ოცდაექვსი წელი გასიგრძეგანდა ჭირთათმენით და ლხინსაკსებით. მათ სიყვარულს არაფერი დაჰკლებია, მრუმე ფერები არ დასდებია ვარდისფერ გრძნობას.

—ამბობენ, უამრავი ოჯახური პრობლემა აფერმკრთალებსო სიყვარულს. თქვენ როგორ შესძელით ასე ხალასად მისი შენარჩუნება?

ქალის მოსიყვარულე თვალებიდან სითბო იღვრება. აქცენტით მპასუხობს:

—ყოველგვარ პირობებში უნდა ეცადო, შეინარჩუნო ქალური ხიბლი, მიმზიდველობა, სინაზე, ტაქტი და დათმობის უნარი, ჩემი აზრები ზოგჯერ ეწინააღმდეგება მეუღლისას, მაგრამ დათმობას ვამჯობინებ. ისე, თავისთავადობას მაინც ვინარჩუნებ, სიჯიუტე ამ დროს დამღუპველია. რას იზამ, ოჯახური უღლის ქვეშ ყველაფერი ისე როდი ეწყობა, ჩვენ რომ გვოცნებია. მე მუდამ მაინტერესებს ქმრის პრობლემები, ვარ მისი მესაიდუმლე, ყურადღებიანი მისი ცხოვრების მიმართ.

აქ მამაკაციც ჩაგვარია საუბარში:

—ჩვენი ბედნიერება იქედან იწყება, რომ უკუვაგდეთ სიმდიდრესა და ფუფუნებაზე ფიქრი, თუმცა, აუცილებელი არაფერი გვაკლია. ჩვენი სიმდიდრე შვილებია, ოჯახი, მშობლები, მეგობრები... შინიდან გასულებს გვიხარია დაბრუნება, ერთმანეთის კვლავ ხილვა.

—ოჯახი მძიმე ტვირთია და როცა მამაკაცი ცდილობს, შეგიმსუბუქოს ეს ტვირთი, მადლიერება უნდა გამოხატო, მის სითბოსა და სიკეთეს პასუხი უნდა მისცე. საერთოდ, **ქალი მუდამ სითბოს უნდა აფრქვევდეს...**

ამ დიდ და ლამაზ ოჯახში ტრადიციად აქვთ ქალისადმი თავაზი და პატივისცემა. მამაკაცები საოჯახო საქმეებში დაუზარლად ეხმარებიან ქალებს, უფროსთ მათთვის დაბადების დღეების მილოცვა და სასიამოვნო სიურპრიზების მომზადება.

—არ ყოფილა შემთხვევა, თუნდაც მგლოვიარედ ვყოფილიყავით, რომ ნოდარს მეგობრებთან ერთად არ აღენიშნა ჩვენი ქორწინების დღე, 7 თებერვალი. მუდამ სასიამოვნო სიურპრიზს მიმზადებდა—იღიმება ქალბატონი ლარისა,—მეც ვიგივეს ვცდილობ: სიხარული მივანიჭო მეუღლეს, დედამთილ-მამამთილს, შვილებს; (სხვათა შორის, მამამთილი, ბატონი ჟორა და დედამთილი თამარი, მიქელაძის ქალი, 5 შვილისა და 9 შვილიშვილის მიუხედავად, დღესაც რძლის სახელს იფიცებენ.) სიყვარულში გაზრდილი ბიჭები მშობლების ურთიერთობას შეჰხარიან, ანალოგიურზე ოცნებობენ.

ასეთ დიდ ოჯახში სიმშვიდისა და სითბოს შენარჩუნება, ყველასთან ხალასი ადამიანური ურთიერთობა ქალისათვის დიდი ხელოვნებაა და მას ჩვენი წერილის გმირი საუკეთესოდ ფლობს.

—მეუღლის მშობლებს ისე ვეპყრობი, როგორც საკუთარს; დიდი სიყვარულით და სითბოთი. ურთიერთდამოკიდებულებაში ვეძებთ არა შეცდომებს და ნაკლოვანებებს, არამედ ერთმანეთის გასამართლებელ საბუთებს, პატივს ვცემ მათ ასაკს და გამოცდილებას. ხომ გახსოვს უფლის სიტყვა-„როგორც გინდა მოგექცნენ ადამიანები, ისე მოექეცი შენ მათ“.

ჩემი რესპონდენტი არ მარტო რუსულისა და უცხო ენის, ღამაზად ცხოვრების მასწავლებელიც გახლავთ, მხოლოდ კარგად უნდა ჩახედოთ მის ცხოვრებას, ისმინოთ მისი შაჭარბაგიანი საუბარი ადამიანურ ურთიერთობაზე, ოჯახზე, სიყვარულზე. ამ ოჯახში შემოსული სითბოს, სიმშვიდისა და სულიერი კომფორტის სივრცულ ტალღებში ეხვევი, რომელიც უპირველესად დისახლისიდან მოდის. ამიტომ მოგვიხარია აქ ხშირად მისი შვილის მეგობრებს.

სხვათა შორის ქალბატონი ლარისა შეუდარებელი დისახლისია: განთქმულია მისი ნახელავი კერძები და ნამცხვრები.

—დედაჩემი ზოგჯერ არაფრისაგან ისეთ კერძებს შეთხზავს და მოგვიმზადებს თითებს ჩაიკვნეტო,—იცინის დათო.

მოდით და ნუ ატარებთ ასეთ ქალს ხელისგულზე.

ბოლოს და ბოლოს, ცხოვრების მამოძრავებელი ძალა ქალია. აზრი ქალია, კაცობრიობის მომავალიც ქალიდან მოდის, ქალი უდებს საფუძველს სიმშვიდეს და სათნოებას, „და რა ქალი, ხელისგულზე სატარები...“

„საიდან მოდის სილამაზე...

ან სად მიდის? სად იკარგება, თუ დროებით მიეფარება? ვინ იცის?!

ალბათ, სულმშვენიერი ქალებიდან მოდის, მერე მიიკარგება, მათხვე ოჯახებს შეეფარება, რათა ახლოს მისულს მთელი თავისი სიკაშკაშით შემოგანათოს, მოგაფრქვიოს მადლიანი შუქი და გაფიქრებინოს, რომ ადამიანის მოსვლას ამქვეყნად აქვს გამართლება.

ზემოთაც აღვნიშნე, რომ ჭეშმარიტი სიყვარული ყველა დროსა და საზოგადოებაში რჩება იმ უმტკიცეს ბურჯად, რომელზედაც დაფრდნობილი ოჯახი მყარია და საიმედო. სწორედ მისი წყალობით ვერ გაუხუნა ჟამთასვლამ ფერი ლარისა მუმლაძისა და ნოდარ კოპალიანის მშვენიერ ოჯახს.

ღმერთმა დალოცოთ და გადასცეს შთამომავლობას ნიჭი ამ დიდი ჭეშმარიტი და უღალატო სიყვარულისა.

მაყვალა კოპალიანი

კანონი კანონია!

კანონის მიზანია ადამიანთა ცხოვრების კეთილმოწყობა, ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც ადამიანებს კარგად ეყოფნა სურთ, რადგან კანონებისათვის დადებით მხარეებს იმათთვის ამჟღავნებდენ, ვინც მათ ემორჩილება.

○○○

მორჩილებდე კანონს, ხელისუფლებას და ბრძენს—ნიშნავს, წესიერი ადამიანი ხარ.

დემოკრიტე

○○○

არავითარ სარგებლობას არ მოიტანს ყველაზე უფრო სასარგებლო კანონები, თუ მოქალაქეები არ იქნებიან შერჩეული სახელმწიფოებრივ წესრიგს, თუ ისინი არ იქნებიან მისი სულისკვეთებით აღზრდილნი.

○○○

კანონმდებლობაზე არის დამოკიდებული სახელმწიფოს კეთილდღეობა.

არისტოტელე

○○○

მიმართვა, ბრძანება იმისა, რაც სამართლიანია, სასარგებლოა, კანონთა თანახმად, ასეთია თანამდებობის პირთა ამოცანები. კანონები უბრძანებენ თანამდებობის პირებს, თანამდებობის პირები—ხალხს. შეიძლება ითქვას, რომ მთავრობა მოლაპარაკე კანონია, ხოლო კანონი–მუნჯი მთავრობა.

ციცერონი

○○○

უნდა ვეცადოთ, რომ კანონები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, განურჩევლად პიროვნებისა; ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ ობობას ქსელს, რომლებშიც ებმებიან პატარა ბუზები, დიდ მწერებსა და ბზიკებს კი ვერ უძლებს.

კომენსკი

○○○

კანონი ქონებას მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე პიროვნებას, რამდენადაც მისი ზრუნვის საგანი მშვიდობიანობაა და არა სათნოება.

ჟან ჟაკ რუსო

○○○

არც ერთ საზოგადოებაში არ უნდა არსებობდეს ცუდი კანონები. და თუ ეს უკანასკნელი ყოველთვის რიგიანია, მაშინ საზოგადოება თავის დღეში არ დაუწყებდა დევნას გენიალურ ადამიანს.

დენი დიდრო

○○○

ხმა ამოუღებლად მორჩილება მარტო კანონს შეუძლია მოითხოვოს.

ბომარშე

ჩვენი გაზეთი ყოველგვარ ოპერატიულობას მოკლებულია, მაგრამ ვცდილობთ წამი მოქმედებისა თუ ყოფისა შევაჩეროთ, ე. ი. დავაფიქსიროთ: ასეა ამ სურათზეც.

1986 წლის 1 იანვარს, 16 საათზე შევაჩერეთ წამი და დავაფიქსირეთ ასიათასობით კუბური მეტრი კლდე-ღორღის ჩამოწოლა წყალტუბო-ცაგერის საავტომობილო გზის 34-ე კილომეტრზე (ღვედის მონაკვეთი). უზარმაზარი მთის ჩამოწოლამ დაკეტა გზა, წალეკვით დაემუქრა მას და შექმნა მდინარე ცხენისწყლის შეგუბების საშიშროება.

იმ დღესვე საგზაო სამმართველოების ხელმძღვანელებმა ოლეგი გიორგობიანმა და ბათო ყურაშვილმა შექმნეს ავარიული მდგომარეობის სალიკვიდაციო ბრიგადები ა. კიზირიასა და ჯ. გაბისონიას ხელმძღვანელობით, საჭირო მძიმე ტექნიკა გადაიყვანეს ავარიული გზის მონაკვეთზე და ორი დღე-ღამის განუწყვეტელი მუშაობის შედეგად ასაკცევი გზა გაიხსნა და ტრანსპორტმა მოძრაობა დაიწყო. მთლიანად გზის გაწმენდისათვის თითქმის ერთი თვეა საჭირო.

გმირული შრომით თავი გამოიჩინეს ბულდოზერისტ-მექანიზატორებმა რუბენ გოგიძემ და შერაგი ჯიაძემ, K-701-ის მძღოლმა ტარზან ხაბულიანმა.

სურათებზე, რომლებიც ჩვენმა კორესპონდენტმა ლერი ჩხეტიანმა გადაიღო, სტიქიის გრანდიოზულობაა წარმოდგენილი, მარჯვენა დაგელოცათ, გზის მშენებლებო!

ირაკლი უგულავა

ხაბაზთ უბანი —აბასთუმანი

აქ, ოდესღაც, ციხე-ქალაქი ყოფილა-გაშენებული და ერქვა... ოძრხე, (ანუ ოცხე), ახლა მას აბასთუმანი ეწოდება. საიდან სადაო? იკითხავს კაცი, ზოგი ამბობს, რომ აქ სახლობდნენ ხაბაზები, რომლებიც სალაშქროდ მიმავალი ჯარისათვის პურს აცხობდნენ და ამიტომ ხაბაზუბანი შეარქვეს, ხომ გაგიგონია ლადო ასათიანის ლექსი: „ხაბაზუბანი, აბასთუმანი, შუამ ფანჯრებიდან შემოანათა", ზოგი ამბობს, რომ ბორჯომამდე ჩამოსული აბაზი ჯდებოდა, ხოლო იქიდან აბასთუმნამდე—თუმანი, ამიტომ შეერქვა აბასთუმანი. მიდი და გაიგე აბასების უბანია, ხაბაზების უბანია თუ აბაზი და თუმანი?...

...ბევრი ვიხეტიალე აბასთუმანში... ქუჩის მეორე მხარეს დარაბის თავზე აბრას ვკიდე თვალი, „სანილარდი" ამოვიკითხე. დაურიდებლად შევაღე კარი და ვიხილე ნაცნობი სურათი: პაპიროსის ბოლი, აღგზნებული სახეები, ბატარა მაგიდასთან მთვლემარე მარკიორი, მოთამაშეთა მიჩვენებითი პატივისცემა... შესვლისთანავე შემომესმა:—ვინც მოვიდა, გაუმარჯოს, საიდან, სადაო?! ნაცნობები აღმოჩნდნენ, მოვიკითხეთ ერთმანეთი, მე ობოლისის ცხელ-ცხელი ამბები ვუთხარი, ისინ თავიანთი თქვეს და სათამაშოდ მიმიპატიჟეს. თან დამიმეჯდეს, რომ აქ თამაში „დრიზეა" და არც გროსმაისტერები არიანო. ავადმყოფებს საერთოდ ეკრძალებათ ბილიარდის თამაში, ითქო-ოროლა თუ შემოიპარება, კარგად მყოფებს კი არა სჯალიათ, ავადმყოფებს ემსახურებიან; ისევ ჩვენ, დასასვენებლად ან ნათესავების სანახავად ჩამოსულები თუ ვითამაშებთო.

ორივე მაგიდა დაკავებული იყო. მარილაკ, არ იყვნენ გროსმაისტერები, „ამერიკანკას" თამაშობდნენ და უბრალოდ „აკორებდნენ", ერთობოდნენ. ნაცნობებში დარჩენა ვამჯობინე. რამდენიმე ხელს ვითამაშებ-მეთქი,—გავიფიქრე. ამ ბრბოს ერთი, ალბათ, ჩემი ტოლი, მაგრამ ჩემზე მაღალი და ბექსოული ყმაწვილი მომახლოდა და ზიზღლობიანად მითხრა:

——ახლა ჩემი რიგია, თუ გნებავთ, ვითამაშოთ!—დავთანხმდი. წილი ვაკრეთ და სამკუთხედის დაშლა მას ერგო. დარტყა ბირთვები, კარგად გაშალა და ერთი მათგანი ჩააგდო კიდეც. „ეჰე, ეს არ ხუმრობს ვიღაცა!—გავიფიქრე. შემდეგ სამი ბირთვი ზედიზედ მოათავსა ღუზაში. როგორც იტყვიან, არ ამომასუნთქა, ისე მომიგო პირველი ხელი. მეორე პარტიაში მეგზარი წინააღმდეგობა გავუწიე, მაგრამ მანც მომიგო. წარმატებამ გაახარა ჩემი პარტნიორი, მსუბუქი ნაბიჯით უელიდა მაგიდას, ღიღინებდა და ბირთვს ბირთვზე ათავსებდა ღუზაში. უნდა გენახათ, რა სიამოვნებით წერდა ცარცით ქულებს ბილიარდის მაგიდის ეზვანე მაუდზე. მესამე ხელიც მომიგო, მეოთხეც მეზეოე მე მოვიგე, მეც მას მივბაძე და მაუდზე ქულების გვერდით ჩემიც მივუწერე 4 : 1. მეექვსე ხელის თამაშის დროს პარტნიორმა რამდენჯერმე შუბლზე ოფლი მიიწმინდა. დაიღალა, ლოყები აუწითლდა, თვალები გაუგანიერდა მძიმედ სუნთქავდა. მოგებული იყო, ამიტომ მადლობა გადაკუხადე და ფულის გადახდა გადავწყვიტე.

——შენ რა, დაღლილი გგონიავარ?!—საკმაოდ უხეშად მკითხა.

——არა, ბატონო.

——ხომ არ გეცოდები?

——არა, ბატონო.

——ჰიდა ითამაშე, სად გარბიხარ? აქ ყველას დრო თავზე საყრელად აქვს, შენ რა საქმის კაცი გამოჩნდი?!

არ მომეწონა მისი ლაპარაკის კილო და არც სახის გამომეტყველება. მაგრამ რადგან ასე კატეგორიულად მოითხოვა თამაში, დავთანხმდი.

მეექვსე პარტია მოვიგე.

ჩემს პარტნიორს ეტყობოდა, საერთოდ თამაშს და, განსაკუთრებით, წაგებას, ძალზე განიკიდიდა. როდესაც ანგარიში 4 : 4 გახდა, ორჯერ დაახეთქა ჯოხი მაგიდაზე, რაღაცას ბუტბუტებდა გაუთავებლად, სახეზე არ მიკურებდა... ადარ ღირდა თამაში.

——კმარა, თქვენც დაიღალეთ და მეც!—ვთქვი და ფულის გადასახდელად წავედი.

——მოითმინეთ!—მომაძახა მან,—ფულს მე გადაგიხდი!

——არა, ანგარიში საყიდია, ჩვენი გაცნობის აღსანიშნავად მე გადაგიხდი! მიცოლდი მაგიდას, ითრეთ... არ აიღო მაგისგან ფული!

ხმამაღლა ლაპარაკმა ყველას ყურადღება მიიქცია. ჩემი ნაცნობები მე შემომეხვიენენ, ისინი——ისას, დაგვიწყეს დამშვიდება. მე დასამშვიდებელი რა მქონდა, იგი კი არ ცხრებოდა:

——მოელი თამაშის მანძილზე დამცინოდა, ირონიულად იღიმებოდა, ჩემი ბრალია, ჭკვა ვერ ვისწავლე, ყველასთან ვკადრულობ თამაშს.

ეს უკვე მეტისმეტი იყო.

——მოეშვი კაცო, ეგ პოეტი ლადო ასათიანია, არ იცნობ?——ჩამჩურჩულა ამხანაგმა.

არ ვიცნობდი, მაგრამ მისი ბევრი ლექსი წამეკითხა და მომწონდა კიდეც. იმხანად გამოდიოდა ლიტერატურული ჟურნალი „ჩვენი თაობა", რომელშიც სისტემატურად იბეჭდებოდა პოეტების ერთი ჯგუფი. მათ შორის იყო ჩემი თანაკურსელი ანდრო ლიმიძე, რომელიც ხშირად იხსენებდა ლადო ასათიანს, აქებდა მის ლექსებს, გვიკითხავდა.

მე გაჭირვდი, მაგრამ იგი არ დაცხრა, ვინც შემოვიდა, ყველას მოუყვა, თუ რიგორი შეურაცხყოფა მივაყენე.

——წარმოგიდგენიათ, თამაში ყიმოთ დამთავრდა და ფულის გადახდა დააბრა, ჩემს მაგიერ იხდიდა ფულს!——იმეორებდა განუწყვეტლივ.

ყოველივე ეს გულში ნინჯად ჩამრჩა. არ ვიცოდი, იგი რას ფიქრობდა ჩემზე, მე კი მასთან შეხვედრის და დალაპარაკების შემთხვევას ვეძებდი, მარიალია, დამნაშავე არ ვიყავი, მაგრამ თუ ამას საქმე მოითხოვდა, ბოდიშსაც მოვუხდიდი. მაშ, რა მექნა, მას სრული ფიზიკური და სულიერი სიმშვიდე სჭირდებოდა, მე კი ავადელვა ამასთან, ითბილისში რომ ჩავიდოდი, რა მეოქვა: აბასთუმანში ლადო ასათიანი ვნახე და ვჩხუბე-მეთქი?! ლადო კი ნამდვილად ბრალი.

მაყურებელმა გულთბილად გამაცილა. ერთი წუთის შემდეგ ისევ ავანსცენაზე ვიდექი.

ორკესტრი არ უკრავდა, დარბაზში სიჩუმე სუფევდა, კონდერანსიეს არადერი გამოუცხადებია, ისე დავიწყე ლადოს ლექსის კითხვა: „როგორ არ მინდა, ჩემს სიჭაბუკეს დაანდეს შენი შავი ჩრდილები! ეს რა უშრეტი ცეცხლის დამუგე. პირს მარიდებენ ქალიშვილები!" ... წყარად, მკაფიოდ გამოვიქვამდი ითითეულ სიტყვას.

არავის უფიქრია ტაშის დაკვრა... დარბაზი გარინდული, გაქვავებული იყო. ფეხაკრეფით გავედი სცენიდან.

მეორე დღეს შევხვდით მე და ლადო, ძმაკაცურად ჩამოვართვით ხელი, ვითომ ჩვენს შორის არაფერი მომხდარიყო, ჩამოვსხედით და დიდი ხნის უნახავებივით გულთბილი საუბარი გავბმეთ; ერთი სული მქონდა, მეკითხა წუხანდელი შთაბეჭდილების შესახებ. მაგრამ იგი არ ჩქარობდა. ათას რაიმეს მიყვებოდა, ბევრი საერთო ეცნობი გამოვრკვიეთ, ბოლოს მივედით იქ, სადაც ჩვენი საუბარი უნდა დაწყებულიყო.

——კარგად წაიკითხე გრიშაშვილის ლექსი, მომეწონა.

——თქვენი ლექსი?——ადარ ვაცადე.

——მე, ჩემი კარგო მაგ ლექსს კბილთა ღრჭენით ვწერდი, ვებრძოდი ვერკინებოდი იმას, უხილავს, უხსენებელს, ვინც ეს სენი პირველად ადამიანებში გაავრცელა; მე იგი სამკვდრო-სასიცოცხლო ომში გამოვწვიე, დავწყველე: „ო, განვედ ჩემგან, ძლიერო სენო, ჩემს შემდეგ ნურვინ ნუ მოგიხსენოს". შენ კი თვითონ აკრძალული და მაყურებელიც აატირე, შემდეგ თაყვანისმცემელი წაფრატუნდი სცენიდან, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ კულისებში სული შეგეხუთა. და იატაკზე ზღარბანი მოადინე. არა, ძმობილო, ლადოს სიცოცხლე სურს, მას ეტრფის, უგალობს, მოიცა, მოიცა, ვიცი, რაც უნდა მითხრა. ამიტომ ვინც წერს, იმან უნდა წაიკითხოს. ლექსი პესა კი არ არის, სხვისთვის რომ დაწერო. მე რიცა ვწერ, ჩემი ლექსისათვის მელოდიაც მაქვს და ინიციატივაც, და რაც მთავარია, მიზანი!

* * *

„მკურნალი ექიმი რაისა ქაცივაძე პირდაპირ გადაგებული იყო მასზე, ამბობდა: „ასაკით ახოვანი ქალუკა, გონებით ბრძენი, ისე კი მიზეზიანი ბავშვია, ბავშვი".

პაატა შრეშაძე

* * *

„ერთ დღეს საშინლად განრისხებული შემოვიდა. საახე შეშლოდა, თვალები ისე უელავდა, რომ შეხედვისაც კი შეეშინდა, მიზეზი ვერადრით ვთქმევინე, ცოტა რომ დამშვიდდა, უბიდან თავისი ლექსების კრებულის კორექტურა ამოიღო, წინ დამიგდო და დაიყოლა:

——გესმის, ბიჭო, ვის ხელში ჩავვარდი?! ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს კრებულიდან ამოღებას უბრძანებენ! ეს იგივეა, გული ამომგლეჯონ! „სალაღობოს" არავის დაეუთმობ, თუ მართლა არ გაუშვეს, უთუოდ მოვკვდები! ეს ლექსი ჩემი სიცოცხლეა, ჩემი სისხლი და ხორცი, სული და გულია...

გაოცებული შეეცქეროდი თვალებში. ეს წარმოსადეგი ვაჟკაცი, რომელიც წამდან ცეცხლს აფრქვევდა, უცებ გალღვა, გული აუჩუყდა, მთელი სხეულით აირთხოლდა და ჩემი საწერი მაგიდის მანას იხლისოდენა ორი კუნცხალი დაეცა... ტირიდა ლადო...

——ეხ ეარესი მათთვის,——ზლუქუნით განაგრძო მან,——ეს ლექსი თუ ამომგდეს, დადგება დრო და ყველა გაიგებს, რას შეახეს ხელი! ამას უთუოდ მიმავალში ხალხი იმღერებს, ხელიდან ხელში გადავა, შემოქმედენ, განმადიდებენ. რომ არ დაბეჭდონ კიდეც, ხელნაწერს აიტაცებენ. აი, ნახავ, მაშ! შეიძლება ამ ნეტარ დროს ვერც კი მოვესწრო, მაგრამ შენ ჩემზე ჯანმრთელი ხარ და საკუთარი თვალითა იხილავ, საკუთარი ყურით მოისმენ ამას, დარწმუნდები ჩემი სიტყვების სიმართლეში...

მიხეილ მამულაშვილი

* * *

ვასილ გვეტაძე

დადიოდა ლადო ქალაქის ქუჩებში

განსაკუთრებით ტაბილდებოდა გარეთ ხეტიალი მაშინ, როცა რიონის სანაპირო მწვანედ შეხასხასდებოდა და არქიელის გორაზე თეთრად იბენტებოდნენ ხეები.

იყო მის სიარულში რაღაც ისეთი, ძალაუნებურად ყურადღებას რომ მიგაქცევნებდა კაცს. ამნაირი ნაბიჯებით მოსიარულე ადამიანი ამაყია, მუკარებელია, ზემოდან დამჩერებელიცაა თითქოს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ქიანჭველასაც ვერ დაადგამს ფეხს.

ამბობენ, ტანადი და წარმოსადეგი ადამიანები, უმთავრესად, გულმოწყალენი და შემბრალენი არიანო. სინამდვილეა ეს თუ არა, ამაზე დავას არ ვაბრებ. სახიერი, ბეჭებში ოდნავ წახრილი, მაღალ-მაღალი, ყელ-კისერშემოდერებული ლადო ასათიანი რომ მართლაც მოწყალე და შემბრალე გულისა გახლდათ, ეს კი ნამდვილად ვიცი.

მიდის ფერწითელად სახეაფორაჯებული ქაბუკი ქუჩაში. აცვია ფართოოჯიეკიანი უბრალო, ლურჯი სატინის ხალათი, სრული და ჩაშვებული, ალბათ ოჯახში დედის ხელით შეკერილი. უხერხულად მიიწევს ხელებს. ბარაქიანი ნაბიჯებით გადმოიარს თეთრ ხიდს, იქვე ხელმარცხნივ კაფეა, მისი საყვარელი, საოცნებო ადგილი.

აგერ რიონისპირი თეთრი, გასლილული ციხის ქვებით, მშვენიერი ბაღით. სოლიმონისეული ჭადარი, ბებერი, დაფუტურეებული, ცოდვილ ტოტებს აქეთ-იქეთ აქანავებს. მწვანე, ფაფრიანი მოლი მოსდებია ხეივნებს და გარშემო დგას ნედლი, დასრესილი ბალახის ნაცნობი სურნელი.

შეხედავ და დაგვამახსოვრდება საყელოწეული, ფიქრიანი ახალგაზრდა კაცი. სიცივე და სითბო ერთი ღარით ამოსდის მისი სხეულიდან. გული კი არ აუყრია ცხოვრებაზე, რაღაცით გაღიზიანებულია. გაბორიტებული კი არაა, გაწამებულია და გატანჯული.

აღიზიანებს ის, ნამცეცა გულის მეპატრონე კაცუნა დიდებულებისანი ადამიანის როლს რომ თამაშობს. ისიც, უღირსი რომ ღირსებაზე ქადაგებს და ქვეყანას ჭკუას ასწავლის.

ერთი სიტყვით, ყველაფერი აღიზიანებს, მოგონილი რაცაა.

ზედმეტად გადაღებული კაცის შეხედვა უკვე აუტანელი ხდება მისთვის. ადარ შეუძლია მოხითხითე და ჩქერივით ამოყოლჩამეული ბიროფნების ცქერა.

ბრშაჭრიანობა მისგან შორსაა. ზოგჯერ გაგკენწლავს კიდეც. არ შემოგაცინდება თვალებში, არ მოგეფერება.

ბრადმა უბედურებამ, დედის სახელთან რომაა დაკავშირებული, ასეთად აქცია, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ცოტა სხვანაირი ჩანს. გულგახსნილია, მაგრამ გულჩახეული ეგონიათ. აკი თვითონვე თქვა თავის თავზე:

ერთი შეხედვით უზომოდ მკაცრი,
ახლოს არავის არ იკარებდა
და იდგა როგორც სხვა დროის კაცი,
ფოთლებდაცვენილ ბაღის კარებთან.

არა, იგი ამ დროის კაცია და „ფოთლებდაცვენილი ბაღის კარები" მხოლოდ საჭირო ფონია გამორჩეული პოეტურ ქვეყანაში შესასვლელად.

* * *

„მეგობრული შეხვედრების დროს, ჭიქა ღვინოზე ხშირად ოგონებდა ლეჩხუმს, ცხენისწყლის ნაპირებს, სადაც იღებს საოავეს მისი ლექსების ჩქარზე ჩქარი და თავბრუდამხვევი მდინარება„.

რევაზ მარგიანი

* * *

——უმტკრო კაცი არ ვარგათ, უთქვამთ, ლადოც არ გახლდათ ისეთი ჯაბანი, მტერი არ ეყოლებოდა. მტერმორეული კი არ ყოფილა, თუ გავაზვიადებთ, მისი ფუნაგორიებით ორიოდეს თუ შეხვდებოდით განაწყენებულს. არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ დაუნდობელს ისიც არ ინდობდა, სამაგიროს გადახდა ცოდვად არ თვლება. ისე კი მისი ფუნაგორიები სიწმინდითა და პოეტური შთაგონებით გამთბარეოდა, არ ეგავდა ზოგ-ზოგთა უხიაგ და უწმაწურ ფუნაგორიებს. ლადოს არ ეჭონდა არც ერთი ისეთი ფუნაგორია, რომლის ხმამაღლა წაკითხვა სთაკლდი ყოფილიყო.

ერემია ქარელიშვილი

არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

შეველა ხევსური და ფშალა სვანი,
ქართველი ქალი თვალებმაევალა,
ჩემი თბილისი და ფიროსმანი,
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

მოკვდა თუ არა, ეველამ აცხონა,
ცოცხალი არვინ არ მიიკარა,
მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ
და ყოველ დილით ვხვდები
ნიკალას.

ძილგატეხილი და არეული
ჭიქა არაყით გაიხსნის მადას,
მერე შეკრთება, ვით მთვარეული
და ორთაჭალის ლამაზებს ხატავს.

ქართული ზეცა, ქართული ზვარი,
მტკვარი მღვრიე და მტკნარი
ანკარა...
ჩემი თბილისი და ფიროსმანი,
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

●●●

საქართველოში

საქართველოში იბადებოდნენ
და შემდეგ მუდამ წუხდნენ ამაზე:
ეჰ... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე.

თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს
ერთი იმედით: სიცოცხლე მარად
გაგრძელდეს ქვეყნად და
განმეორდეს.

ჩვენ ვაკაცობა ძველთაგან
მოგვდევს,
ეველამ გაიგოს, ეველამ იცოდეს!
ჩვენ, შეიძლება, ბრძოლაში
მოკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ
სიცოცხლეს.

რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ეველა კარი დარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გაფრნდით ამ ქვეყანაზე!

●●●

თქვენ გეუბნებით, ძმებო მგოსნებო!

რა ქართველი ხარ და რა ჯაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე?!
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს
მაწვალებს.

რომ ვდგავარ ახლა თბილისის
კართან,
შენ გეკითხები, ცაო, ნათელო,
ამ უხვირო ლექსების გარდა
რას გავუკეთებ მე საქართველოს?!

რომ ვდგავარ ახლა თბილისის
კართან,
თქვენ გეუბნებით, ძმებო მგოსნებო:
არ უხვირო ლექსების გარდა
დაგვრჩა საფიქრი და სარცნებო?!

რა ქართველი ხარ და რა ჯაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე,--
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს
მაწვალებს!

●●●

რედაქციისაგან

ჩვენი კითხველები აყენებენ წინადადებას, ითხოვენ გაზეთის ფურცლებზე ლეჩხუმის ისტორიის ძირითადი და საინტერესო მონაკვეთების დაბეჭდვას ისე, რომ ამ მასალებმა შექმნან წარმოდგენა ლეჩხუმის, როგორც ეთნოგრაფიული კუთხის შესახებ მთლიანობაში. ეს მისასალმებელია.

დასამალი არ არის, რომ ამ ერთი ეთნოგრაფიული კუთხისა და ერთი ადმინისტრაციული რაიონის ისტორია ძირფესვიანად არც შესწავლილია და, რაც შესწავლილი და დასაბუთებულია, გამოქვეყნებული არ არის. ხომ ფაქტია, რომ ლეჩხუმს ერთი ნაწილი მოჰკვეთეს და წყალტუბოს მიაკუთვნეს, ხოლო მეორე ნაწილი—ამბროლაურის რაიონს. არც იმერეთს სჭირდებოდა ლეჩხუმის საჩუქარი და არც რაჭას, ისინი ორ და მეტრაიონულ ერთეულს წარმოადგენენ და ამ შემთხვევაშიაც ლეჩხუმს შემოაჭრეს „ჩოხის კალთები"—რატომ და რისთვის—ახლა საკითხის დასმა ძალზე უხერხულიცაა.

ეტად საინტერესო პოზიცია ეჭირა ლეჩხუმსა და მის მმართველებს სამეგრელოსა და იმერეთის ინტერესთა მიმართებაშიც. ეს საკითხი თითქმის შესწავლილია, მაგრამ წიგნები კარადებშია ჩაკეტილი და მკითხველს ელოდება.

უნიკალურია ლეჩხუმის ისტორიული ძეგლების არქიტექტურა, დანიშნულება, მშენებლობის კულტურა; საინტერესოა ლეჩხუმელების ყოფის, ცხოვრების, ტრადიციების, კულტურის მნიშვნელობა მთლიანად ერისათვის, ქვეყნისათვის. ვერ ვიტყვით, ლეჩხუმის კულტურისა და ისტორიის ძეგლები შეუსწავლელიაო, მაგრამ დღევანდელი თაობისათვის უცნობია.

მთელი ეს კულტურა და ყოფა, ისტორია და დღევანდელობა მხარეთმცოდნეობის, თუ ზოგადზეუმებშია მოთავსებული, მაგრამ არც ამ დაწესებულებათა კარადებსა და საცავებში ჩაუზედავ ჩვენს ახალგაზრდობას. ახლანდელ თაობას დამალულ-ჩაკეტილი კარადები არ აინტერესებს, მას ლეჩხუმის ნამდვილი ისტორია სჭირდება დაწერილ-გამოქვეყნებული და ჩვენი ეს წამოწყებაც ამ საქმეს მოემსახურება.

გაზეთის დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ ორ ცნობას ლეჩხუმისა და მონაცემებს ცაგერის ადმინისტრაციული რაიონის შესახებ.

ლეჩხუმი

მხარე დასავლეთ საქართველოში. მოიცავდა ძირითადად ახლანდელი ცაგერისა და ნაწილობრივ წყალტუბოს საქალაქო საბჭოსა და ამბროლაურის რაიონის ტერიტორიას. ლეჩხუმს დასავლეთით სამეგრელოსაგან ყოფდა ასხის მთის მასივი, ჩრდილოეთით სვანეთისაგან—ლეჩხუმის ქედი; აღმოსავლეთით რაჭისაგან—მდინარე ასკისწყალი, მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე კი თავშავის ქედის სამხრეთი კალთები, სამხრეთით იმერეთისაგან—მდინარე ლეხიდარას მარცხენა ნაპირის გასწვრივ მდებარე სერი და ხვამლის მთის მასივი. ლეჩხუმში ადამიანის ცხოვრების კვალი ნეოლითის ხანიდანაა დამოწმებული. არქეოლოგიური მონაპოვრებით კარგადაა აგრეთვე წარმოდგენილი გვიანდელი ბრინჯაოს ხანა. ანგიკურ ხანაში ლეჩხუმი უკვე მჭიდროდ დასახლებული რეგიონი იყო. წყაროებში პირველად მოიხსენება მე-IIIსუ საუკუნეში (პროკოფი კესარიელი) სკვიმნიის სახელწოდებით. ამ დროს მას ერისთავი მართავდა, რომელიც ეგრისის მეფეს ექვემდებარებოდა. მომდევნო ხანაში ლეჩხუმში, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, დაიშალა და მისი ტერიტორია თაკვერის, რაჭისა და ოკრიბის შემადგენლობაში შეიდა. უფრო გვიან ლეჩხუმი კვლავ დამოუკიდებელი ერთეულია. მისი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი იყო ლაილაში. იმერეთის სამეფოს წარმოქმნის (მე-15 საუკუნე) შემდეგ ლეჩხუმი მის შემადგენლობაში შეიდა, როგორც სამეფო დომენი. მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან ლეჩხუმში თავი იჩინა მისწრაფებამ დამოუკიდებლობისაკენ. გაჩნდა თანამდებობა—ტიტული ლეჩხუმის თავი. მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან ლეჩხუმელი ძლიერი ამნაურები შეეცადნენ შეექმნათ ცალკე სათავადოები. ამ მხრივ გარკვეულ წარმატებას მიაღწია ინასარიძეთა საგვარეულომ. შემდგომში ლეჩხუმს მთლიანად ჩიქოვანთა ფეოდალური საგვარეულო დაეუფლა. 1714 წელს, მას შემდეგ, რაც ლეჩხუმის გამგებელი ბეჟან დადიანი სამეგრელოს სამთავროს თავადი გახდა, ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროს ერთ ნაწილად იქცა. ამიერიდან მას დადიანების დანიშნული სარდალ-მოურავი განაგებდა. მე-18, მე-19 საუკუნის მიჯნაზე იმერეთის მეფე სოლომონ II შეეცადა ლეჩხუმის დამორჩილებას, მაგრამ უშედეგოდ, სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიას შესვლის შემდეგ ლეჩხუმის ტერიგორიაზე შეიქმნა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული— ლეჩხუმის მაზრა.

ლეჩხუმის მაზრა

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში. ქუთაისის გუბერნიის შემადგენელი ნაწილი. შეიქმნა 1867 წელს. ადმინისტრაციული ცენტრი სოფ. ცაგერი. შედგებოდა სამი უბნისაგან: ალპანის, სვანეთისა და ცაგერისა. ფართობი 4636 კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობა 50080 კაცი. ეროვნული შემადგენლობა—ქართველები. მოიცავდა ახლანდელი ცაგერის, ლენტეხისა და მესტიის რაიონების ტერიტორიას. გაუქმდა 1930 წელს.







ცაგერის რაიონი

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში. 1917 წლამდე ახლანდელი ცაგერის რაიონის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრაში. 1921 წელს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ისევ ლეჩხუმის მაზრაშია. 1930 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია. დასავლეთით ესაზღვრება გეგეჭკორის, ჩრდილოეთით—ლენტეხის, აღმოსავლეთით—ამბროლაურის, სამხრეთით—წყალტუბოს საქალაქო საბჭო და წულუკიძის რაიონი; ფართობი 755,4 კვადრატული კილომეტრი, რაიონული ცენტრი ქალაქ ცაგერი. ცაგერის რაიონში შედის ერთი საქალაქო (ცაგერი) და 13 სასოფლო საბჭო (ალპანა, ალვი, ზუბი, ლაილაში, ლასურიაში, ლუხვანო, ნაკურალეში, ორბელი, ოყურეში, ტვიში, უსახელო, ღვირიში და წიფერჩი), ერთი ქალაქი და 38 სოფელი.

ბუნება. რელიეფი. რაიონის ცენტრალური ნაწილი უჭირავს ცაგერის ქვაბულს, რომელსაც გარს აკრავს სხვადასხვა სიმაღლის მთები, ეგრისის ქედის აღმოსავლეთით ნაწილი—ცეცურის საზამთროსა და საქერიას მასივები. მასივებს ახასიათებს ძველი მყინვარული ფორმებიანი (ტროგები, ცირკები, მორენები) ღრმად დანაწევრებული კლდოვანი რელიეფი. დასავლეთის მხარეზე აღმართულია ასხის მასივის აღმოსავლეთი განშტოებები. რაიონის სამხრეთ ნაწილში მდინარეების ცხენისწყლისა და რიონის ხეობებს შორის ნაქერალას ქედის დასავლეთ გაგრძელებაზე მდებარეობს ხვამლის კირქვიანი მასივი. მისი სამხრეთი კალთა მაღალია და ქარაფოვანი. მდინარე რაიონის გასწვრივ ვრცელდება ერთმანეთისაგან ღრმა ხეობებით გამოყოფილი დაბალი და საშუალო სიმაღლის მთები.

ვრცელი ცაგერის ქვაბული, რომელიც გადაკვეთილია მდინარე ცხენისწყლით, იწყება მურის კლდეკარიდან და ვრცელდება სამხრეთით, სარეწკელას კლდეკარამდე. ორივე კლდეკარი ჩაჭრილია მკვრივ ცარცულ კირქვებში, ქვაბულის განივრი (1,5—2 კილომეტრი) მძლავრი ალუვიონით დაფარული ფსკერიდან (აბსოლუტური სიმაღლე 400—500 მეტრი) მაღლდება ციცაბო ფერდობებისა და დაბალი მთების საშუალოდ დანრეული ტერასებიანი კალთები.

სარეწკელას კლდეკარიდან სამხრეთით ცხენისწყლის ხეობა ისევ განიერდება პორფირიტულ და ფერად წყებათა ქანებში და ქმნის ზუბის ქვაბულს.

ცაგერის ქვაბული აღმოსავლეთით გამოყოფილია ორბელის ქვაბულისაგან შუა ლეჩხუმის სერით. მის აღმოსავლეთით ცარცულ კირქვებში მდინარე რიონი ქმნის ტვიშის კლდეკარს. კირქვული მასივებისათვის დამახასიათებელია მკვეთრი ეროზიული და კარსტული ფორმები, ქვაბულებისათვის—მეწყრული მოვლენები.

ცაგერის ქვაბული რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის დასავლეთი ნაწილია, აგებულია პალეოგენური და ნეოგენური მერგელებით, ქვიშაქვებით, თიხებითა და კონგლომერატებით. მათ თითქმის ყველი მხრიდან აკრავს ცარცული ასაკის კირქვები და მერგელები. ტვიშის სამხრეთით გაშიშვლებულია შუაიურული (ბათური) ჩრდილო-აღმოსავლეთში (მდინარე ლაჯანურის აუზში) ბაიოსური და ქვედაიურიული ნალექები, ცარცული კირქვები თითქმის ყველა მიმართულებით იცვლება უმთავრესად ბაიოსური პორფირიტული წყებით, სასარგებლო წიაღისეულია ფოსფორიტები და მინერალური წყლები მდინარე ლაჯანურის ხეობაში.

ჰავა. რაიონი ეკუთვნის ზღვის სუბტროპიკულ ტენიანი ჰავის ოლქს, სადაც სიმაღლის მიხედვით ჰაერის ტემპერატურა და ატმოსფერული ნალექები მკვეთრად ცვალებადობს. დაბალ ნაწილში (ცაგერი, ზღვის დონიდან 474 მ.) ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა +11,4 გრადუსია ცელსიუსით, იანვრისა 0 გრადუსი, აგვისტო— 22 გრადუსი ცელსიუსით, ნალექები 1235 მმ წელიწადში მაქსიმალური შემოდგომაზე მოდის, მინიმალური — ზაფხულში. მთიან ნაწილში ჰაერის ტემპერატურა შესაბამისად ეცემა, ნალექების რაოდენობა კი იზრდება და ყველაზე მაღალ ადგილებში 2000—მილიმეტრს აღწევს.

შიგა წყლები. მთავარი მდინარეებია რიონი და ცხენისწყალი. რიონის უდიდესი შენაკადია ლაჯანური, ცხენისწყლისა — ჯონოული, მდინარეები საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. ცხენისწყალი და რიონი (ზემო დინებაში) მყინვარების ნადნობი წყლითაც. მცირე მდინარეთა ნაწილს აქვს კარსტული რეჟიმი სელური ხასიათი. მდინარეთა წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმოვარდნა—ზაფხულშემოდგომაზე.

ნიადაგები. ცაგერის ქვაბულის ფსკერზე ალუვიური ნიადაგია. მთის კალთებზე სჭარბობს ტყის ყომრალი და კორტიან-კარბონატული ნიადაგები. მაღალ მთებში მთის ტყის ქვედა სარტყელის ღია და გაეწრებული ტყის ყომრალი აგრეთვე კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთის მდელოს ნიადაგები. პატარა ნაკვეთებად გავრცელებულია ალპური ზონის პრიმიტიული, მცირე სისქის კორდიან-ტორფიანი მთის მდელოს ნიადაგები, ციცაბო კლდოვანი ადგილები სრულიად მოკლებულია ნიადაგსაფარს.

მცენარეული საფარი. მცენარეულობა ძირითადად სიმაღლებრივი ზონების სახითაა გავრცელებული. დაბალ ნაწილში არის კოლხური ტიპის ტყე. რაიონის ქვეტყეში ვხვდებით როგორც ფოთოლმცვივან (კუნელი, კვიდო, თხილი, ჯონჯოლი, ზღმარტლი, იელი), ისე მარადმწვანე (ბზა, შქერი, თაგვისარა, ბაძაგი) ბუჩქებს. სამხრეთ ნაწილში არის წაბლნარის ნარჩენები. მთის წინეთში გაბატონებულია წიფლნარ-რცხილნარები, რომლებიც ხშირი დასახლებისა და მიწის ათვისების გამო, ამჟამად ძლიერ შემცირებულია. მთის კალთებზე შერეული და წიწვიანი ტყეებით, ფოთოლოვნებიდან ჭარბობს მუხნარ-რცხილნარი, წიფლნარი, ჯგრცხილნარი, წიწვოვნებიდან—ნაძვი, სოჭი, ფიჭვი, ქვეტყეში ხშირია შქერი, წყავი, ბზა, წიფლნარებში შერეულია წაბლი, რცხილა, ცაცხვი, ნეკერჩხალი, იფანი და სხვა. ქვეტყეში არის იელი, მოცვი, ჭანჭყატა, თხილი, იმერული ხეკრელა და სხვა. კირქვიან ადგილებზე წიფლნარ, მუხნარი, აგრეთვე მუხნარია ეგრისისა და ლეჩხუმის ქედების კალთებზე. წიწვოვანი ტყეების ზემოთ მოსდევს სუბალპური ტყეები და მდელოები. მცირე ფართობი უკავია ალპურ მდელოებს. ცეცურის, საზამთროსა და საქერიის მასივები აღწევენ სუბნივალურ სარტყლამდე.

ცხოველთა სამყარო. რაიონში ბინადრობს მთის ტყის ცხოველები: დათვი, მგელი, ტურა, მელა, მგელი, კურდღელი, ზღარბი, თხუნელა. ფრინველებიდან: ყვავი, ყორანი; ძერა, ტყის ქათამი, შაშვი, ტოროლა, ჩხართვი და სხვა. ქვეწარმავლებიდან: ხვლიკები, გველები და სხვა მდინარეებში ბევრია თევზი.

ძირითადი ლანდშაფტები: გავრცელებულია მთა-ტყისა და მთა მდელოს ლანდშაფტების შემდეგი სახეები: 1. დაბალმთის ქვაბული და ტყე ბუჩქნარით ალუვიურ-კარბონატული და კორტიან-კარბონატული ნიადაგებზე; 2. კარსტული დაბალმთიანეთი რცხილნარ-მუხნარით კორტიან-კარბონატული ნიადაგებზე; 3. დაბალმთიანეთი წიფლნარ-რცხილნარ-წაბლნარით ტყის ყომრალ ნიადაგებზე. 4. დაბალმთიანეთი წიფლნარ-რცხილნარით ტყის ყომრალ ნიადაგებზე. 5. საშუალო მთიანეთი წიფლნარ-მუქწიწვიანი ტყთ ტიპურ და გაეწრებულ ტყის ყომრალ ნიადაგებზე. 6. მაღალმთიანეთი სუბალპური მდელოებითა და ბუჩქნარებით მთა მდელოს კორდიან ნიადაგებზე. 7. მაღალმთიანეთი ალპური მდელოებით მთის მდელოს ნიადაგებზე 8. სუბნივალური ლანდშაფტ.

მოსახლეობა. რაიონში ძირითადად ცხოვრობენ ქართველები. მცირე რაოდენობით რუსები და სხვა. სოფლის მოსახლეობა შეადგენს რაიონის მთელი მოსახლეობის 90 პროცენტს. განსახლების ძირითადი ზონაა ცაგერის ქვაბული და მიმდებარე მთის კალთები, ზღვის დონიდან 600—500 მეტრის ფარგლებში.

სახალხო მეურნეობა. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მევენახეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა. რაიონში არის 10 კოლმეურნეობა, ერთი საბჭოთა მეურნეობა (მევენახეობის) ორი სამეურნეოთაშორისო მეურნეობა, სანერგე და სატყეო მეურნეობა, 4 სამეურნეოთაშორისო საწარმო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების სამეურნეოთაშორისო გაერთიანება. მთაგორიანი რელიეფის გამო დასამუშავებლად ვარგისი მიწების ფართობი დიდი არ არის. სასოფლო სამეურნეო სავარგულს უჭირავს 17,1 ათასი ჰექტარი, აქედან სახნავია 3,7 ათასი ჰექტარი, მრავალწლიანი ნარგავი 2,3 ათასი ჰექტარი, სათიბ-საძოვარი 10,7 ათასი ჰექტარი, ნასვენი მიწა 0,7 ათასი ჰექტარი. მრავალწლიანი ნარგავებიდან ძირითადია ვენახი (1,5 ათასი ჰექტარი) მარცვლეული კულტურებიდან სიმინდი (3,2 ათასი ჰექტარი) მეცხოველეობაში ჭარბობს მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, პირუტყვის სულადობა (1985 წ.) მსხვილფეხა რქოსანი საქონელი 16,1 ათასი სული, ღორი 17,8 ათასი, ცხვარი და თხა, 2,6 ათასი.

მრეწველობა. რაიონის ტერიტორიაზე არის საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგური— ლაჯანურჰესი (სიმძლავრე 111840 კვტ) მრეწველობის მთავარი დარგია კვების მრეწველობა. ცაგერში, ორბელში, ოყურეშსა და ტვიშში არის ღვინის პირველადი დასამუშავებელი ქარხნები, სოფელ ალპანაში—ქუთაისის ტრიკოტაჟის სამკერვალო ფაბრიკის ფილიალი. სამრეწველო კომბინატი, ავტოსატრანსპორტო საწარმო.

ტრანსპორტი. სატრანსპორტო სისტემაში მთავარ როლს ასრულებს ავტოტრანსპორტი. რაიონში რკინიგზის ხაზი არ არის (უახლოესი რკინიგზის სადგურებია ქუთაისი—ცაგერიდან 90 კილომეტრი). აქ გადის რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები: ქუთაისი-ცაგერი-ლენტეხის და ონი-ცაგერის, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძეა 106 კილომეტრი.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. რაიონში 1985 წელს იყო 43 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (3,0 ათასი მოსწავლე, 0,5 ათასი მასწავლებელი, 10 სბავშვო ბაგა-ბაღი, 2,8 ბიბლიოთეკა, 31 კლუბი. ცაგერში არის სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სოფელ ბარდნალაში არის ლადო ასათიანის, სოფელ სპათაგორში მარშალ „არჩილ გელოვანის სახლ-მუზეუმები. გამოდის რაიონული გაზეთი „კომუნიზმის სხივი".

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 3 საავადმყოფო (175 საწოლი) 12 ამბულატორიული პოლიკლინიკა და 30 სოფერშლო-სამეანო პუნქტი, 45 ექიმი და 244 საშუალო მედმუშაკი.

ხუროთმოძღვრული ძეგლებია: თაბორის, ლაბეჭინის წმინდა გიორგის (შუა საუკუნეები) ეკლესიები, ზუბის, გვესოს, ზოგიმის (შუა საუკუნეები) ციხეები და სხვა.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.





ეს ბიჭები ახლა უკვე ქართული არმიის ჯარისკაცები არიან. როგორი შემართებით, გულღიად, მზოლოდ ჭეშმარიტ სიყვარულით მიდიოდნენ ისინი გამწვდი პუნქტებიდან. ხედავდი და გეჯერდა, რომ ეს ის თაობაა, რომელმაც დღეს ქვეყანა უნდა დაიცვას, ხვალ კი იგი უნდა ააშენოს.

გაზეთის რედაქცია ულოცავს ამ ლამაზი სულის ჯარისკაცებს ახალ, 1996 წელს და უსურვებს შემდგომ დიდ წარმატებებს.

სურათზე ზემოდან ქვემოთ: კობა ჭარსელაძე (ლესინდი), ბახვა გასვიანი (ქულბაჭა), თემურ ფალავანდიშვილი (ცაგერი) რამაზ ბენდელიანი (ქულბაჭა) ბესიკ სილაგაძე (მახაში), რაფიელ ნემსწვერიძე (ლესინდი), მირიან შუშუდიანი (ლასურიაში).

გაზეთ „თაკვერის" მკითხველებს

ძვირფასი მეგობრებო! 1996 წლის პირველი იანვრიდან კვლავ გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „თაკვერზე" 1996 წლისათვის. დღემდე გამოვიდა გაზეთის 10 ნომერი და მისი რედაქცია ამბობს მკითხველებისადმი დაპირებას—გაზეთი არის თავისუფალი, მტკიცე და მოუსყიდველი პოზიციის, დემოკრატიის დამცველი და სწორი ორიენტირი გაბნეა ფაქტებისა და მოვლენების გადმოცემის საქმეში, ერიდება კომენტარს, იცავს ჟურნალისტის ღირსებას.

რედაქცია არწმუნებს თავის მკითხველებს, რომ თანდათან წელში გაიმართება და გახდება მისი ერთგული თანამებრძოლი ერისა და ქვეყნის ძლიერებისათვის ბრძოლაში.

გამოიწერეთ ჩვენი გაზეთი. იგი თვეში ორჯერ გამოვა და ერთი ნომერი ღირს 10 თეთრი, ე. ი. ყველაზე იაფია რესპუბლიკაში. ექვსი თვით გაზეთი ღირს 1 ლარი და 20 თეთრი, ნოლთ წლიური გამოწერის ფასია 2 ლარი და 40 თეთრი.

„გაზეთის გამოწერა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით. გაზეთის გამოწერა ნაღდ ანგარიშზე შეიძლებოთ ქალაქის საკრებულოს შენობაში, მეორე სართულზე.

მკითხველს შეუძლია ისარგებლოს გაზეთის რედაქციის დათმობით, გამოიწეროს გაზეთი ნახევარი წლით და თანხა გადაიხადოს 1996 წლის პირველ მარტამდე. იანვრის, თებერვლის თვეების გაზეთებს მიიღებს ნისიად, ისარგებლებს რედაქციის ნდობით. ეს დათმობა ვრცელდება ცალკეულ მკითხველებსა და ორგანიზაციებზეც.

გაზეთის რედაქცია 1996 წლის პირველი იანვრიდან იღებს დაკვეთებს ფასიან რეკლამაზე. დაბეჭდავს ნეკროლოგებს, გამოსათხოვარ და მოსაგონარ წერილებს, სამგლოვიარო განცხადებებს, მილოცვებს, დაოჯახების, დაბადების დღის მილოცვის, ან სხვა სახის მამართვებს.

ჩვენი რეკლამა მეტად იაფია და ტექნიკურად სრულყოფილი.

მკითხველო! ისარგებლეთ ჩვენი რეკლამით; დავეკერწმუნეთ, რომ მოიგებთ და გმაყოფილიც დარჩებით.

ბაზეთის რედაქცია

დამფუძნებლები: რაიონული გამგეობა და ფირმა „თაკვერი"

რედაქტორი **აკაკი ჩიქოვანი**

თავისუფალი გაზეთი
ქ. ცაგერი რუსთაველის 69. ტელ. 20-05

რეგისტრაციის № 222
შეკვეთა № 174 ტირაჟი 500 ც.

გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის საავტორო საზოგადოება „სტამბაში"
ქუთაისი ი. ჭავჭავაძის გამზ. 33
☎ 6-07-80, 6-34-99, 6-37-79